


„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-
რაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე
ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში; გარეშე
მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „ДРОБА“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—
8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ.
6 თვ.—5 მ., 5 თვ.—4 მ., 50კ. 4 თვ.—4 მ., 3
თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნაჭერი „დროებისა“ დირს 5 კაპიკი.

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.



ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე
8 კ., პირველზე 16 კ. სრული განცხადებით გვერ-
დი 25 მანათი; პირველი 50 მ., რიგითი სტრიქონ-
ებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის გვა-
ლობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწავლის და შეამოკ-
ლებს დასაბუჯად გამოცხადებულ წერილებს. დაუბუჯებელ წერი-
ლებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за-
границы принимаются только въ цент. конторѣ объявл.,
Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

„დროების“ ფასი სექტემბრის პირველიდან წლის დამთავრებამდე 4 მანათი. სოფლის მასწავლე- ბელთათვის 3 მანათი.

ჩვეულებრივი ფაქტი

თბილისი, სექტემბრის 3-ს.

ზაფხულის მიწეული და შემო-
დგომის დასაწყისი ფრიად განცხადებ-
ლებულს დროს წარმოადგენს ჩვენის
ქალაქებისათვის. აქამდე მიყრუებუ-
ლი ცხოვრება, დაცარიელებული ქა-
ლაქები, შეჩერებული და შეფერხებუ-
ლი ვაჭრობა, გონებრივი ძილი ამ
დროს კვლავ იცვლება მოძრაობით,
გაცხოველებით. ძალაქის ცხოვრების
მისუსტებული მაჯა მოიმატებს ფეთ-
ქას, ზაფხულში მოსვენებით განახლე-
ბული კაცის ძალა მუშაობას მხნედ
ჰკიდებს ხელს და სხვა და სხვა იმედი
ძლიერად იღვიძებს ახალის სეზონის
დადგომისათანავე.

დღეს ჩვენ გვინდა ამ სიცხადის
მრავალ-გვარ მოვლენათაგან ერთ-გვა-
რი მოვლენა აღვნიშნოთ მხოლოდ.
მს მოვლენა ჩვეულებრივი ფაქტია და
ყოველ ამ დროს ისე ძლიერად იჩენს
ხოლმე თავს, რომ არ შეიძლება ყუ-
რადღება არ მივაქციოთ და ფაქტი
ფაქტად არ აღვნიშნოთ. მით უმეტეს
საქიროა ეს, რომ ამ გვარი ფაქტი
სასიამოვნოა ყველასათვის, ვინც კი
გულ-მტკივნეულად უტყერის ცხოვრე-

ბუჩინუის კალოჯი

I

სტეფან ბრეგვაძე ორმოც-და-თხუთ-
მეტის წლის კაცი იყო, შუა ტანისა
და კარგად ჩასუქებული. არც უბრა-
ლო ვინმე იყო ბრეგვაძე: სამსახურ-
ში თვალსაჩინო ალაგი ეჭირა და
«აღმატებულებაც» დაიმსახურა. მისი
ხასიათის გამოსახატავად საკმაოა
ესტკეთ—ბატონი ბრეგვაძე დღთან
იყო პატარა, პატარასთან დიდი, მე-
ტყველთან უფრო, უფროსთან მეტყვე-
ლი; ერთის სიტყვით, მისი აღმატე-
ბულება ანგარიშისანი კაცი იყო და
ყოველივე თავისი საქმე საუცხოოდ
მიჰყავდა.

ორმოცის წლისა იყო სტეფან ბრე-
გვაძე, ცოლი რომ მოუკვდა. თუმცა
ქალებისადმი მადა კიდევ საკმაოდ
ჰქონდა შერჩენილი, მაგრამ ორმოც-
და-თხუთმეტს წლამდის ქალის შერ-
თვა ფიქრად არ მოსვლია; ნაირ-ნაი-
რობა ამჯობინა. როცა ორმოც-და-

ბას, ხარობს მისი სიკეთით, ვისთვი-
საც სულ ერთი არ არის ახისა და
ათასის მოზარდი თაობის ბედი და
ვისაც შეგნებული აქვს, რომ კაცი
მხოლოდ მაშინ კაცობს, როცა სი-
ნათლეს მისდევს, მუდამ ავითარებს
თავის თავს, ზრდის გონებას, გრძო-
ბას, იმტკიცებს ხასიათს.

სწორედ შემოდგომის დასაწყისი
არის ის დრო, როდესაც ჩვენ ყველა-
ზე მეტად ვზრუნავთ სწავლისა და გა-
ნათლებისათვის, როდესაც იწყება სწა-
ვლა სხვა-და-სხვა სასწავლებლებში და
როცა ამ სასწავლებლებში ასობით
და ათასობით ვამგზავრებთ ჩვენს ახალ-
გაზღვრულ სწავლისათვის, ნათელის მი-
საღებად, კაცად შექმნისათვის. აი,
მთელი კვირა და თვე გადის, რაც
ჩვენ მხოლოდ ამ ზრუნვას შეეუბრე-
ვართ, რაც მარტო ერთი აზრი გვი-
ტრიალებს თავში, ეს ერთი ძლიერი
გრძობა დასადგურებულა ჩვენს არსე-
ბაში.

ამ ორის, სამის კვირის წინაღ ჩვენ
გავისტუმრეთ მცირე დას-დასად, რაზ-
მი-რამზედ სხვა-და-სხვა რუსეთის მა-
ღალ სასწავლებლებში ჩვენი ახალ-
გაზღვრანი, დღესაც მისწრაფიან თითო-
ოროლა შეგვიანებულნი, უკან ჩამორ-
ჩომილნი მორაზმენი, მისწრაფიან

ხუთმეტის წლის კაცი შეიქნა, მაშინ
განიძრახა ცოლის შერთვა. თურმე
რალაც წიგნში წაეკითხა ბრეგვაძეს—
ყმაწვილი ქალი მოხუცებულს კაცს
გაახალგაზღვებს, სისხლს შემატებს,
სიცოცხლეს განუახლებსო, და ამ წა-
კითხულს ამბავს საღერღელი აქმალა
მისთვის. მანიზრახა ცოლის შერთვა
და საქმესაც შეუდგა. საცოლოც მა-
ლე აირჩია. მრთს მისს ხელ-ქვეითს
მოხელეს ჰყავდა ოცი წლის გასათხო-
ვარი ქალი, ეშხანი, ლამაზი და სი-
ცოცხლით სავსე. ანიკო, ამ ქალის
სახელია, —ერთ საუკეთესო საძილოდ
ითვლებოდა.

ანიკოს შერთვა ძნელ საქმედ სრუ-
ლიად არ მიანდა სტეფან ბრეგვაძეს.
მრთს ეუბნებოდა, ჰფიქრობდა საქმრო და
მამაცა და ქალიც ფეხზედ მომეხვევია-
ნო. მამაზე მართალს ჰფიქრობდა,
ქალზე-კი შემცდარი იყო; მაგრამ—
კარგი ხილი მაინც ლორმა შეკვამა.
როგორ? რა ნაირად? სულ ადვილად.
შური მათხოვეთ, და დავაკმაყოფილებ
თქვენს ცნობის მოყვარებობას.

იმედებით, მხიარულად, ვით ახალ-
გაზღვრათა წესია, სტოვებენ დროებით
თავიანთ ქვეყანას, რომ იქ, საცა მათ
გზავნიან, იმხნონ თავიანთ განათლე-
ბისათვის, იზრუნონ თავიანთ სწავლი-
სა და განვითარებისათვის, რომ ყვე-
ლა ამით ასახელონ თავიანთი მშო-
ბელი ქვეყანა,...

თვით ჩვენ ქვეყანაშიაც ყოველი
გზა, მიმავალი რომელსავე ქალაქის-
კენ, საცა სასწავლებლები არსებობენ,
ამ უკანასკნელ ორ-სამ დღეში პატა-
რა მოსწავლე მორაზმეებით იყო აქ-
რელებული. რკინის გზის ვაგონები
პატარა ბლუზიანი ყმაწვილებითა და
პორტლიკიანი ქალებით იყო ხოლმე
სავსე.

მისაც უნახავს სალაშქროდ გამზა-
დებული, რაზმებად დაწყობილი და
ყოველ-გვარი იარაღით შეჭურვილი
ჯარი, გასტუმრებული საბრძოლვე-
ლად, იმას ეცოდინება, რა გრძობა
აღელვებს ამ დროს კაცს, იმას
გამოცდილი ექნება, როგორ სტკებ-
ბა მისი არსება, როცა ქვეყანა
თავის ვალის გადასახდელად თავის
სისხლსა და ხორცს იგლეჯავს მკერ-
დიდამ და ისტუმრებს სამსხვერპლოდ
და თან როგორ უნამავს მის გულს
სხვა-და-სხვა შავი და ბნელი წინაღ
გრძობანი, ეჭვი გამარჯვების შესა-
ხებ.

სწორედ ამ კაცისავე მდგომარეო-
ბაშია ისიც, ვინც უტყერის მოზარ-
დის თაობის გასტუმრებას და გამგზა-
რებას სხვა-და-სხვა სასწავლებლებში.
მს ახალ-გაზღვრანიც, ეს პატარა ნორჩ-

II

ჯერ გავაცნობთ, ბატონო, ჩვენს
უმთავრესს გმირს. მს განლავეთ პატ-
რი, სულიერი მამა, ტანდაბალი, სა-
ხით მედიდური და სცხოვრობს
ერთს მიყრუებულს ქუჩაში—Rue
des Catholiques, № 14. ამ სულიე-
რის მამის სახელი პაეღია: ლაქუცა,
ყველასთან ყველასი, მდიდრების და
დიდ-კაცების მონა და მოსამსახურე.
აი, იმის უტყუარი სურათი. მგონებ
ეს მოკლე აღწერაც საკმარისი იყოს,
რომ მკითხველმა შეიგნოს რა გმირია
ჩვენი გმირი.

მრთს საღამოს, მწუხრის ლოცვა
რომ დასრულდა, მამა პაეღე ჩვეუ-
ლებრივად დაჯდა სააღსარებოდ. არ
გასულა ორი წამიც, რომ მის წინ
დაიჩოქა აღსარებისათვის ჩვენმა სტე-
ფან ბრეგვაძემ მღვდელმა ჯვარი გა-
დასახა, მოკლე ლოცვა წარმოსთქვა
და შეუდგა ცოდვილის ცოდვათა მოს-
მენას.

— მოჰყევი, შეილო, რით შეაწყი-
ნე უფალი ღმერთი შენი?

— მამაო, უპასუხა ბრეგვაძემ, მე

ნი არსებანიც იგივე დარაზმული ჯა-
რია, იგივე ლაშქარია, გამზადებული
მედგარი შრომისა და მხნეობისათვის,
საშინელის ბრძოლისათვის უმეტრე-
ბის წინააღმდეგ, უსინათლოების და-
სათრგუნავად. მს პატარა ლაშქარიც
იმისთვის შორდება თავის დედ-მამის
სახლს, რომ დავაქვაცდეს გონებით,
შეიტურვოს სწავლით და ებრძოლოს
უმეტრებას, სიღარიბეს.

აქაც ისევე ღელავს მშობლის გრძობა,
როგორც წინა შემთხვევაში, აქაც
ისევე იწვის მისი გული ორ-გვარის
ურთიერთის წინააღმდეგის გრძობით.
ამ რაზმმაც უნდა გამარჯვოს, ასახე-
ლოს და აღიღოს თავისი მშობელი
მხარე და, რათაც უნდა დაუჯდეს,
უნდა გულ-მართლად და პატიოსნე-
ბით ემსახუროს საქვეყნო საქმეს...

ჩვენს ქვეყნას უკან არას დროს
დაუხვია, როცა მტერთან ბრძოლა
ყოფილა საჭირო და დღესაც საკმარისა
მხოლოდ მოიწოდონ მსურველნი
სალიშქროდ და უფრო მეტი აღმო-
ჩნდება ამ უკანასკნელთა რიცხვი, ვიდ-
რე საჭიროა სახემწიფოსათვის. მაგ-
რამ, სამწუხაროდ, ამ გვარი წესი არ
ივარგებს სწავლების საქმეში. სწავლი-
სათვის მოწოდებულნი მართლა ბევრ-
ნი არიან, უფრო ბევრნი, ვიდრე და-
იტყვენ ის სასწავლებელნი, რომელ-
ნიც ჩვენში არსებობენ. სამწუხაროდ,
ვიმეორებთ, ჩვენი საშუალებანი სწა-
ვლა-განათლებისათვის, ჩვენი სახსარნი
ამ მხრივ არ ემესაბამებიან იმ მოთხო-
ვნილებას, რომელსაც ჩვენი ქვეყანა
იჩენს. მს საშუალებანი და სახსარნი

დღეს სულ სხვა საქმე მაქვს თქვენ-
თან.

— რა არის, შეილო?

— მე მსურს შევიროთ ჩვენი ტე-
ლორეს ქალი ანიკო.

— ძრიელ კარგი, შეილო, ძრიელ
კარგი! დიდი მოწყალება და მადლია
შენგან ეს საქმე.

— მე ხომ მაგრე განლავეთ მამაო!
მაგრამ ეს საქმე არ ხერხდება. მამა
თანახმაა, მაგრამ ქალი დიდს უარზე
სდგას. ძალს სხვა უყვარს.

— ოხ! ის უბედური! ის უბედუ-
რი!


— მხლა მე გთხოვთ, როგორც სუ-
ლიერს მამას, ეს საქმე მომიხერხოთ.
ამითი თქვენ დაიმსახურებთ ნამდვილ
კეთილის მწყემსის სახელს.

— ვინ უყვარს ქალს, იციო?

— ვასილ შერაძე.

— ძარგი, შეილო, მე დამენდე!

თველორეს ქალი თქვენ არ აგცილ-
დებთ, თქვენი ღვაწლი ღელა ეკლე-
სიისადმი დილია. თვით ღმერთი და-
გვებარება ამ საქმეში.



მმართველობები. იქ, ხელ-მეორედ გამოცხადდა თავად-აზნაურობა და სთხოვეს შემდეგი: ა) იშუამდგომლოს უმაღლესის მთავრობის წინაშე, რომ ეს თავად-აზნაურობა ცნობილი და დამტკიცებული იქნეს თავის ღირსებასა, და წოდებაში და მიენიჭოს ამ მხრით ის უფლება, რომლითაც კარგი ხანია სარგებლობენ ამათი მოძვე იმერეთის თავად-აზნაურნი; ბ) ისა-შუალოს სწავლა განათლების მთავრობასთან, რომ მათი ერთ-კლასიანი სკოლა გადაკეთებულ იქნას ორ-კლასიან სასწავლებლად. გ) დაწესდეს ამ მაზრაში ფოსტის გზა, რიონის მარცხენა ნაპირზე მიმავალ სახელმწიფო გზაზე, და აგრეთვე ტელეგრაფის სტანცია. (ამ უკანასკნელისათვის საჭირო ბოძებს მუქთად უთმობს მთავრობას თავად-აზნაურობა). დ) მიეცეთ უფრო ფხიზელი წინადადება დროებით ვალდებულ გლეხებს, რომ ამათ უფრო ენერგიულად მოჰკიდონ ხელი მათდამი მიხინილ სანადელო მამულების გამოსყიდვის საქმეს. თუ ფულად გაუჭირდებათ გლეხებს მამულების ყიდვა თავად-აზნაურობა თანხმად გაუყოს გლეხებს მიხინილი ალაგები;—ჩვენის მხრით რაც-კი შეიძლება და რასაც-კი აიტანს ჩვენი, მატერიალურის მხრით, უკან დახეული მდგომარეობა მზადა ვართ ყოველ-გვარად დავხმარდით ჩვენს ნაყმევებს მამულების გამოსყიდვის საქმეში, —ალია თავად-აზნაურობამ. მ) ბანყოფილება მომრიგებელ სასამართლოსი თუ-კი მოეცემა ჩვენს მაზრას უსათუოდ დაწესდეს ლაილაში, და არა აჭარაში, რადგანაც პირველი ყოველ-გვარი პირობებით უფრო მოხერხებული და შესაფერი არის ამ დაწესებულების ბინად. ვ) მამასახლისებს მიეცეს უფლება მცირე ჯამიანის თამასუქების დამოწმებისა, რადგანაც თითო-ორჯო მანათის საქმეზედ ნოტარიუსთან მისვლა, ოცი ოცდა ათი ვერსის რება და ხარჯი მეტად უმძიმდება მეტადრე გლეხებსა. ზ) დაკვირდეს ის ფულები, რომელიც დაგვატოვებინეს ხაზინაში უმაღლესად ნაბოძების ფულების მიღების დროს, რომ ეს ფული ჩვენს ღარიბ სკოლას მოვახმაროთ და ცოტაც არის ფეხზედ დავაყენოთ; (ეს ფული, როგორც სთქვეს, ორი ათას მანათზედ მეტი უნდა იყოს. მერ გავიგია, ამდენი ფული რისთვის დასტოვა თავად-აზნაურობამ, ან ამდენს ხანს რად გააჩერა უსარგებლოდ). მოისმინა თუ არა ეს და ბევრი სხვა თხოვნებიც გუბერნატორმა აღუთქვა მოხონებლთ, რაც მის უფლებას ექვემდებარება ყოველივეს შესრულება, შეძლებისა დაგვარად და რაც არა მათზედ შუამდგომლობა და შემწეობა უმაღლეს მთავრობასთან.

ხანგრძლივი და ცხარე ბაასი გამოიწვია ხევის-თავების ჯამაგირების დანიშნვის საქმემ. ხევის-თავები თავიანთის თხოვლობენ მეორე გაწერილობით შემდგარს თანხას, რომელიც გამოიწვია ბანკის დაარსების მოსაზრებამ; ეს თანხა შეადგენს ხუთმეტ

ათას მანათს. ამდენი ფულის ხევის-თავებისთვის მიცემა ჩვენს საზოგადოებას კუთხეში აღარ მოუვიდა, საქმე აირ დაირია; ხევის-თავებმა რამოდენიმე გზის მიმართებს თხოვნით გუბერნატორს:—საზოგადოებამ აგვიჩია ხევის თავებად, დაგვინიშნა განჩინებით ჯამაგირები, გვიმსახურა სამი წელიწადი და ეხლა აღარას გვაძლევინო. გუბერნატორმა ამ საგანზედ სხდომა დანიშნა, სადაც უმეტესი ნაწილი საზოგადოებისა დაესწრო, განიხილა საქმეები, საზოგადოებისაგან შედგენილი განჩინება სამართლიანად იცნო და გამოუცხადა საზოგადოებას:—ხევის თავებს უნდა მიეცესთ ჯამაგირები პირველი გაწერილობის თანხიდან კომიტეტის შენდულებისამებრ, (წესდებაში ნაჩვენებია:—შეკრებილი ფული კომიტეტს უნდა ჩაბარდეს და მან თავის შენდულებისამებრ უნდა დასაჩუქროს ღირსეული ხევის თავენი.) მისაც მეორე შემატებული გაწერილობით გარდაუხდია ფული, იმას დაუბრუნდეს ის, რაც პირველს გაწერილობას აღემატება. (ზღვრებს სულ მეორე გაწერილობით აქვსთ გადახდილი, მანეთი მანეთად ნასესხები, ამდენს ხანს ეს ფულები კერძო პირების ჯიბეში ტრიალობსო და ამოგების იმედიც კი აღარ არისო, თურმე!) მაგრამ ძნელი ამ შემთხვევაში ის არის, რომ პირველი გაწერილობა აღარსად აღმოჩნდა! ბევრი სხვადა-სხვა კილოს და ფორმის ბაასი გამოიწვია ამ დალოცვილმა ათას ხუთასმა თუმანმა, ბევრი მართლა საფუძელიანი მოსაზრება წარმოიტქვა შესახებ მისა, რომ ხევის-თავები მცირე ჯამაგირს დასჯერებულიყენენ და დანარჩენი თანხა უფრო საზოგადო, საჭირო საქმეებისთვის მოეხმარათ, მაგრამ რაღა თქმა უნდა ხევის-თავები, ეხლანდელს ფულის თაყვანის მცემელ საუკუნის წყალობით,—ამაზე არ დათანხმდებოდენ; ამ რიგად ეს საქმე ჯერ-ჯერობით ხევის-თავების სასარგებლოდ წავიდა. მოვიცადოთ და ენახოთ, თუ კომიტეტი, რომელსაც კანონიერი უფლება აქვს თავის შენდულებისამებრ დასაჩუქროს თითოეული ხევის თავეთაგანი, როგორ მოიხმაროს თვის უფლებას.

შემდეგს სხდომაზედ სჯა იყო მათზედ, თუ რომელი ადგილი აირჩიონ სასამართლოს განყოფილებისათვის. სხდომაზედ მოწვეულ იყვნენ აქაური მომრიგებელი მსაჯული, მაზრის უფროსი, მომრიგებელი შუამავალი, თავად-აზნაურობის წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი და სხვანი. ამ რჩევამ რა გარდაწყვეტილება დაადგინა ჯერ-ჯერობით გამოცხადებული არ არის, მაგრამ ხმა კია დავარდნილი, რომ, ვითომც, უმეტესი ნაწილი რჩევის წევრებისა ლაილაშის მხარეს იცადენო. რჩევის აზრი გავგზავნა მუთათისის ოლქის სამსჯავროს თავმჯდომარეს.

საგერიდამ გუბერნატორი წავიდა საბატონოდა თავისუფალ სენათში, საილამაც გადავა სოხუმის ოლქში.

ლაილაშის კარგმა ბუნებამ აწვია წელს ჩვენს მაზრას ერთი მაღალი სახლობა; ზაფხულის დასაწყისში აქ ჩამობანდა სამეგრელოს უკანასკნელის მთავრის ღვით ღაღანის ასული, პრინცესა მიურატისა სალომე, მეუღლითა და შვილებით. აქაურს ჰაეას, წყალს და საზოგადოდ ბუნებას პრინცის ოჯახობა აღტაცებაში მოჰყავს, მაგრამ საპატიო სტუმრებს ცოტა უსიამოვნობას აყენებენ თურმე სამეგრელოს თავადის ტყის მცველები, რომელნიც პრინცს არ აძლევენ ნადირობის ნებასაო. პრინცი უფრო სხვილს ნადირზე—დათვზე, მგელზე, ღორზე, და ამ გვარზე ნადირობსო. ამ მხეცებისაგან დაწუნებულია ჩვენი მხარე და მით უფრო გასაკვირველია, რომ მათზე ნადირობას უკრძალავენ ასეთს პატივსაცემ სტუმარს.

თ. ქაიხოსრო გელაგანი.

ს.ო.შ. შრიათუბანი (ძახეთი), აგვისტოს 28-ს. სოფელი შრიათუბანი სძევს თელავის მაზრის სამხლავრზედ. ამ სოფელში სცხოვრობენ: ქართველები, სომხები და ურიები. მართველობა მცხოვრებთა უმეტეს ნაწილს შეადგენს. როგორც სახელი გვიჩვენებს—ამ სოფელში უწინ უპირატესობა ურიებს ჰქონიათ. ახლა კი რამდენიმე ურია სახლობით ქართველებისაგან ნაქირავებ სახლში სცხოვრობს.

ურიები, როგორც ზოგიერთა სომხები ამ სოფლისა, ეპქობას მიზღვენ. დილით აჰკიდებენ ცხენებს სავაქროს, დადიან სოფელ-სოფელ და ასაღებენ საქონელს ერთი-ორად... სრულიად თელავის მაზრაში ამ სოფლისთანა დაეი-დარაბიან სოფელს ერთს ვერ ნახათ. ხან მღვდელს უჩივიან, ხან მოხელეებს; საჩივარი საჩივარზედ მიდის აქედგან მაზრის უფროსთან. მოხელეებზე კიდევ შეუძლიანთ ურიათუბნელებს ჩივილი, მაგრამ მღვდელმა რა დაუშავათ?... ეს მღვდელი სხვებსავით მარტო პირადულ სარგებლობას არ გამოსდგომია—ამის შემწეობით არის, რომ დღეს ურიათუბნელებს მშვენიერი სკოლა აქვთ; ეს ის მღვდელია, რომლის შემწეობითაც მოისპო შრიათუბანში ორშაბათობით უქმობა და სხვა-და-სხვა ცრუ-მორწმუნეობა. თუ სძულთ ზოგიერთებს, იმიტომ, რომ მუდამ ხალხის დამრიგებელია, უსამართლოების წინააღმდეგია. ეს სამი წელიწადია უსახლოდ არი ეს მღვდელი. წელს აუშენეს ერთი ისეთი საძაგელი სახლი, რომელშიაც არ შეიძლება ცხოვრება. მაზრის უფროსმაც დაწუნა და უბრძანა ხელეორედ კარგი სახლი აეშენებინათ. რასაკვირველია, სოფელს არ ეპიტანებოდა ეს ამბავი...

რა ჰქნას სოფელმა! ის აძლევს ხარჯს, რომ სოფლისთვის კარგი რამ გაკეთდეს, და... თუ როგორ იქცევიან აქაური სუდიები და მამასახლისები ამას შემდეგის ამბით ვაიგებთ: ექვსმა პატოლანმა კაცმა, სოფლიდგან ამორჩეულმა გაგზავნეს საჩივარი სუდიებ-

ზე და მამასახლისზე მაზრის უფროსთან. მაზრის უფროსი ჩამობრძანდა სოფელში და ხალხსაც—შესიძინებოდა დაგვლუბეს, დაგვაქციეს არაფერი შეგვარჩინეს, გვკამენ, საქმით არაფერს არიგებენ და გაიძახიან-კი, საცა რამ მოეწონებათ ან საქონელი, ან სახლის ავეჯულობა: «ეს მე, რადგანაც მამასახლისი ვარ; ესეც მე, რადგანაც მე-ლიატორე ვარ».

— «შენი კირიმი, ნახალნიკო, ერთი ხარი მყვანდა და ისიც ამ ჩვენმა მამასახლისმა წამართვა, არ ვიცი რას მერჩოდა, რა მდიდარი მე ვიყავ? მთხოვეთ, უბრძანოთ ისევე დამიბრუნოს».

— «მე კიდევ, შენი კირიმი, ამ ჩვენს სუდია, პანტელოს, უჩივი: მედიატორედ მოვიწვიეთ სახლში გვენდოდა კეთილ-სენიდიისიერად მოერიგებინა ჩვენი საქმე. არც საქმე მოარიგეს, დღესაც ისევე გაუყრელები ვართ, და სამედიატოროში კი ერთი ძროხა წამართვა.»

ბევრმა შესჩივლა მაზრის უფროსს მოხელეთაგან მოყენებულს უწესოებაზედ. მაზრის უფროსმაც შენიშნა მათი უწესური ქცევა—და დაიბარა მეორე დღისთვის მამასახლისი და სუდიები თელავში...

მეორე დღეს ისევ დაბრუნდენ: მაზრის უფროსი გასჯავრებოდა, ებრძანა ისევ პატრონებისთვის დაებრუნებინათ წართმეული ხარები და შემდეგში აღარ გაებდნათ ამისთანა მოქმედება. მართალია, კიდევ დაუბრუნეს პატრონებს, მაგრამ ვაი ამ დაბრუნებას. რამდენიმე თვე ისარგებლეს საქონლით და ბოლოს უღონოს, დახოცილს უბრუნებენ და მასთან კიდევ გაიძახიან: «ვითომ რა გეგონათ, რომ გვიჩიოდით: მამასახლისობიდგან გამოსცვლიდით ალექსოსა! სოცხალი მყვანდეს, მიხაკო, თორე მე ვიცი, რასაც გამომცვლითო... ან კიდევ პანტელოს სუდიობიდგან გამოსცვლიდით? რით ვერ ვაიგეთ, რომ, პანტელო, გუბერნატორიდგან არის დამტკიცებული—და თქვენისთანები ვერ გამოსცვლიან სუდიობიდგან?» მართლაც ეს ორი კაცი დიდი ვინმეები არიან სოფელში და როგორც უნდათ ისე ატრიალებენ შრიათუბნის ჩარხსა. არ იქნება ურიგო ხანდისხან მაზრის უფროსი ჩამობრძანდეს ხოლმე სოფლად და ყოველთვის მიაქციოს ხალხის გაქირებას ყურადღება.


თომას კასელი. *Wanted*

ტელეგრაფები

„ჩრდილოეთის სასჯენტოსი“
ავგისტოს 31-ს.

მადრიდი. მონარხული გასკეთები ამბობენ, რომ ესპანია ვადლებულია დაჰამყოფილოს გერმანიას იმ შეურაცხ-ყოფისთვის, რომელიც მის ელჩს მიუყენეს.

ლონდონი. გასკეთება ამაჰაკობენ, რომ აგვისტოს 29 ხელ-მოწყე-



რძე იქმნა რუს-ინგლისის ზრატო-კოლო უსულფიგარის გასავალის შესახებ. ამ ზრატოკოლონის ძალით ნახევარი იმ მცირე მიწისა, რომელიც დიდს სავანს შეადგენდა, რჩება რუსეთს, ხოლო მეორე ნახევარი — ინგლისს; გამძვირებული კომისიის შეკრებებზე ნოქსებში.

ლესარი კვირის მოდის ჰეტერბურგს, რადგან მისი მისია დასრულდა.

სექტემბრის 1-ს.

პეტერბურგი. „Journal de St-Petersbourg“-ი უარყოფს უნდა გავითვალისწინოთ რუსეთისა და კორეის შორის შეკრულ ზოლიტიკურ და სამხედრო კონვენციას შესახებ. რუსეთმა კორეისთან მხოლოდ სავაჭრო პირობა შექმნა, სწორედ ამ გზა-რივე სავაჭრო პირობანი, რომელიც დასდო ამ ქვეყანასთან სხვა სახეობის ფაქტობრივად, მათ შორის ინგლისისა და გერმანიისა.

თანამდებობანი სახეობის ხარჯის ინსპექტორებისა კვრამის რუსეთის გუბერნიებისათვის უკვე დარიგებულნი არიან; შესდგა აგრეთვე ინსტრუქცია და წესები, რომლითაც უნდა ასეუქმდებოდეს ინსპექტორებმა თავიანთ მოვალეობის აღსრულების დროს.

გავითვალისწინოთ კვლავ შემოიღონ შეტანა ფულისა იმ განსაკუთრებული ფონდის სასარგებლოდ, რომლის დანიშნულება იქნება შექმნა შტატ-გარეშე სამხედრო დეპარტამენტისათვის. ფული უნდა შეიტანოს ყველა მოსახლემ, რომელიც ჯამაგირს არ იღებს მოსახრობისაგან, ასე 2-დამ 5-მანათამდე თუ ქალაქშია და 1-დამ 3-მანათამდე თუ სოფლებშია.

პოცეპა. (სლავონიაში) გუშინ წარსდგა ავსტრიის იმპერატორის წინაშე, რომელიც მოვიდა აქ მონეტების სათვის, 467 კაციდან შემდგარი ბოსნიისა და ჰერცეგოვინის დეპუტაციამ. დეპუტაციამ გამოუცხადა იმპერატორს მადლობა და ერთგულება, ხოლო მან უპასუხა, რომ ესეთი თქვენი გრძობანი მოწმობენ, რა დიხსეულს ფასს სდებენ ბოსნიელნი და ჰერცეგოვინელები ჩემს წრუნვას თქვენის ქვეყნის სიკეთისათვისა. ამისთანავე იმპერატორი დაჰმარჯა, რომ მფარველობას გაუწევს ყველა სარწმუნოების აღმსარებელი განურჩევლად და მალე თვითონ განახლებს ბოსნიისა და ჰერცეგოვინისათვის.

პარიში. გადაწყვიტეს, რომ არ შეიერთონ ანამი; ხოლო ინჰარონ ენერგიული საშუალებანი იქ მშვიდობიანობის დასაცემად. ანამის შეფის გადაყენება დასაჯერებელია.

სექტემბრის 2-ს.

პეტერბურგი. „ნოვოე ვრემია“-ს გაუგონია, რომ ფანანსთან მინისტრი სექტემბრის ნახევარს დაბრუნდება ჰეტერბურგში, ინახულებს ოდესის, გარდა, კიდევ რამდენსავე ზორტს, მათ რიცხვში სერსონსა და ტაგანოვს.

სახეობისა ქანებისა მინისტრი დაბრუნდა მოგზაურობიდან.

უმაღლესი უსულფიგარის სენატმა განკარგულება მოახდინა, რომ, რაც დანაშაულობის საქმე იქნება განსჯივი, თანამდებობის პირობა მიერ ჩადენილი, განიხილოს ხოლმე რიგის მიუხედავად.

„ს.-ჰეტერბურგის უწყებანი“ სწერენ, რომ ზრატოკოლონის კავშირის შექმნის შესახებ, სახეობის რჩევანი ოქტომბერში განიხილება და, თუ მოწინავე იქმნა, შევა ძალაში მერმისამდინგვად.

დღეს მომხდარს ტირაჟში მეორე შინაგანის სერიისა უმთავრესი მოგება ხვდა შემდეგს ბილეთებს:

№ № სერიისა.	№ № ბილეთისა.	ჯამი მოგებისა.
9574	27	200,000
13294	34	75,000
1300	19	40,000
442	13	25,000
70	6	10,000
4932	9	10,000
7231	28	10,000
18247	27	8,000
11132	9	8,000
9697	16	8,000
13318	38	8,000
11415	8	8,000
12049	35	5,000
17204	43	5,000
17474	44	5,000
18619	24	5,000
11543	33	5,000
6701	12	5,000
3961	26	5,000
1034	25	5,000
2908	5	1,000
4987	2	1,000
15322	43	1,000
5655	44	1,000
1150	21	1,000
121	47	1,000
3750	50	1,000
1275	34	1,000
7099	25	1,000
11950	25	1,000
10947	40	1,000
5380	33	1,000
15522	16	1,000
2218	37	1,000
2917	43	1,000
5040	21	1,000
4654	23	1,000
15736	46	1,000
12219	20	1,000
3042	5	1,000

განცხადებანი
ამიმი რიხი
მუდამ დღე დილ-დილობით მიიღებს
თვალთ ავაღმომუშავს.
ასკენადის ქუჩა, № 17.

სასწავლო და პანსიონი
ქალაქური გიმნაზიისა და რელიგურ სასწავლებლის 4 წლის კურსით
ა. ს. გინკულაისა.
მოწაფეთა და პანსიონერთა მიღება დაიწყება ენკენისთვის 2-დამ; სწავლა ენკენისთვის 5-დამ. დაწერილებითი პირობანი შეიძლება შეიტყოს მინაილის ქუჩ., № 81 და მლისაბედის ქუჩ., № 10. (5-2)

სათმატრო განცხადება.
ამ წლის ოქტომბრის 1-დამ 1886 წლის აღებამდის მართული ღრამბ-ტიული დასი დაიწყებს წარმოდგენების გამართვას.
ამის გამო დასის გამგეობა მოიწვევს, როგორც ძველს არტისტებს აგრეთვე დასში ახლად შემოსვლის მსურველთ წარუდგინონ თავიანთი პირობანი დასის საქმეთა გამგეს.
(10-4) სამმთა ბამბაჰ. აბაშიძე.

ბრ. ჩარკვიანის
ქართული წიგნების გამომცემი
ოსეიდება
მოძრავი ასაკში, სკოლებში სახმარებლად შედგ. ად. მირიანაშვილისაგან; ფასი ყუთით ერთი მანათი.
მოძრავი ასაკში კუბიკებზედ, ბავშვებისათვის, ოჯახებში სახმარებლად; ფასი ყუთით თოთხმეტი შაური.
ბავშვების მოვლა. თხზ. კამბისა ნათ. 3 მაჩაბელისგან; ფასი ერთი მანათი.
აგრეთვე ისეილება ყოველ გვარი ქართული წიგნები. (3-2)

ПЕПТОНОВЫЙ ПИТАТЕЛЬНЫЙ ШОКОЛАДЪ
А. ЛЕМАНА
Съ разрѣш. Медицинск. Департамента
Министерства дѣлъ. Внутреннихъ дѣлъ. ГЛАВНЫЙ СКЛАДЪ ВЪ АПТЕК. МАГАЗ. ШТОКМАНЪ И ЛЕМАНЪ. МОСКВА, ДАЛЬНИКЪ.
Приятнаго вкуса, полезенъ дѣтямъ и взрослымъ, ОСОБЕННО МАЛОКРОВНЫМЪ, какъ увеличивающій питание.
Продается во всѣхъ кондитерскихъ, гастрономическихъ, аптекарскихъ магазинахъ и аптекахъ.
Цѣна кор. въ 20 шт. 1 р. 20 к. 1/2 кор. 70 к.
Перев. кор. 40 к., 2 кор. 60 к. и т. д.
(Ц. 15375.) (50-16)

ი. ა. ფორაქოვის და დ. ს. სარაჯოვის
სპირტისა და არყის დეპოში (თბილისში დ. სარაჯოვის სახლებში სახლის ქუჩაზედ).
იხილება
დაწმენილი პური არაჟი სხვა და-სხვა სპირტისა და აგრეთვე სხვა-და-სხვა გვარი დაწმენილი სპირტი.
ვისაც ქალაქს გარედამ დაბარება უნდა, შემდეგის აღრეით უნდა დაიბაროს: Въ Тифлисѣ. Въ оптовый складъ вина и спирта И. Поракова и Д. Сараджева. (20-14)

არყის ხის პალატი
ლომბოროს ლენგილისა
საყვარელი სატუალეტო საშუალება მთელის განათლებულის ქვეყნების ქალებისა.
აძლევს კანს სვეტაკს სითეთრეს, სპობს ქორფოს, ფერიქამელას, ასუფთავებს მზისაგან გარუქლულს სახეს, ასწორებს მოღმეკილს ადგილებს და აძლევს კანს სინაზეს და ყმაწვილურს შესახელობას.
მეტის მეტად სასიამოვნოა ხმარების დროს.
რუსეთში შემოტანა ნება დართულია ს.-პეტერბურგის სამედიცინო დეპარტამენტისაგან.
ბევრი სიკალებე სუფევს!! ამისათვის გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ შემდეგს: თეთრს რძის ფერს ფლაკონს, კანსიულზედ ავსტრიულს გერბს არწივს), ეტიკეტს, რომელზედაც ფაბრიკის მარკა (ქალი არყის ხის ქვეშ-მყოფება და სურა უჭირავს ხელში) და ვიწრო იარლიკს რუსულის ზედ-წარწერით.
საშუალება ნაცალია 35 წლის განმავლობაში.
1884 წელს მილიონ ნახევარზედ მეტი ფლაკონია გაყიდული!!! შლაკონი ლირს 1 მან. 65 კაპ. უცხო ქალაქების მცხოვრებნი 60 კაპ. გასაგზავნს უმატებენ.
იყიდება რუსეთის ყველა სააფთიაქო მაღაზიებში: მოსკოვში რ. ქე-ლერთან და კომპ. პ. შერსინთან, გემლინგთან, ბ. ბრუკსთან, ლიუშერთან, ბირშფელგინთან, მატესეისენთან, ს.-პეტერბურგში სააფთიაქო საქონ-ლის სავაჭრო რუსეთის საზოგადოებაში, თბილისში სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე პავლასის საზოგადოებაში და მისსავე განყოფილებაში ქ. ბაქოს.
Ц. 12.233 (12-12)